ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 12448/01
13/12/2019

12448-01-2-201912131033

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი ილია ჭავჭავაძის გამზ 74 ბ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 28 ნოემბრის №17126 სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ნავთობპროდუქტების საცავის რეკონსტრუქციასა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას.

ქ. თბილისში, აეროპორტის ტერიტორიაზე სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ 16 000 $м^3$ ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2014 წლის 8 აპრილს გაცემულია N16 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (ბრძანება N0-204, 10.04.2014)

გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად“ მიმდინარე საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის განცხადების წარმოდგენა შეუძლია საქმიანობის განმახორციელებელს, რომელსაც საქმიანობაზე გააჩნია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. სამინისტროში არსებული მონაცემებით სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ აღნიშნულ საქმიანობაზე არ აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. შესაბამისად, სკოპინგის განცხადებით მომართვამდე საჭიროა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

ამასთან, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ განცხადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2009 წლის 20 იანვრის N05 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე 2009 წლის 20 იანვრის N26 ბრძანებით გაცემულია გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N00158. N05 (20.01.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და N00158 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია ქ. სამტრედიაში, ა. ბახტაძის I ჩიხი, N23-ში „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო თქვენს მიერ წარმოდგენილ სკოპინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

შემდეგ, რაც სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მიერ გათვალისწინებული იქნება ზემოაღნიშნული საკითხები.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე